ქუთაისის ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერი"						
2019 სამეურნეო წლის ფინანსური						
	ანგარიშგება					
ინფორმაცია საზოგადოების და მისი საქმიანობის შესახებ						
საზოგადოების სამართლებრივი				სააქციო საზოგადოება სამკერვალო		
ფორმა და დასახელება				კომპანია "იმერი"		
საზოგადოების საიდენტიფიკაციო					212670563	
კოდი						
საზოგადოების იურიდიული და				ქუთაისი ლადო ასათიანის ქ. 119		
ფაქტობრივი მისამართი						
საზოგადოების დაფუძნების თარიღი				25.08.1996 წელი		
საზოგადოების ელ.ფოსტა				imeri.jsc@gmail.com		
საზოგადოების დირექტორი				ჩიხლაძე გიორგი		
საზოგადოების საქმიანობის საგანი				სამკერვალო ნაწარმის წარმოება		

ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი 01.01.2019-31.12.2019 წ. ჩათვლით

ფინანსური ანგარიშგების შინაარსი

ბალანსი 3

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 3

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 4

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 4

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 5

მარაგები 5-6

ფული და ფულადი ექვივალენტები 6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 7-11

ბალანსი						
(თანხები მოცემულია ლარებში)						
			შენიშვნა	**31.12.2019**		**31.12.2018**
მოთხოვნები						
გრძელვადიანი აქტივები						
ძირითადი საშუალებები				3082151		3094117
მიმდინარე აქტივები						
მარაგები				311197		281927
მოთხოვნ.მიწოდ.და მომსახურეობიდან				211664		160939
გადახდილი დღგ				44397		66304
ფული და ფულადი საშუალებები				24664		167871
სულ მოთხოვნები				**3674073**		**3771158**
ვალდებულებები და კაპიტალი						
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომს.				23171		3399
მოკლევადიანი სესხი				406236		563460
ვალდებულება პერსონალის მიმართ				283220		322710
საწესდებო კაპიტალი				820899		820899
სხვა რეზერვები				1804005		1804005
აკუმულირებული მოგება				-192215		-192215
გაუნაწილებელი მოგება				528757		448900
				3674073		**3771158**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში						
(თანხები მოცემულია ლარებში)						
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული						
ფულადი სახსრების მოძრაობა						
				31.12.2019		**31.12.2018**
ძირითადი საშუალებების შესყიდვა				37988		22205
სესხის აღება						100000
სესხის დაფარვა				157224		212401
ფულადი სახსრებისა და მათი						
ექვივალენტების წმინდა მატება/კლება				-16907		-28589
ფულადი ექვივალენტები პერიოდის						
დასაწყისში				167871		196460
ფულადი ექვივალენტები პერიოდის						
ბოლოს				24664		167871

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება						
				31.12.2019		**31.12.2018**
მზა პროდუქციის რეალიზაციიდან				3793473		3784536
საიჯარო მომსახურეობა				23610		26801
საოპერაციო შემოსავლები სულ				**3817083**		**3811337**
ნედლეულის და მასალების ხარჯი				120633		235005
შრომის ანაზღაურების ხარჯი				2906106		2960670
სატელეფონო მომსახურეობის ხარჯი				4871		4949
ცვეთის ხარჯი				39680		35497
საშუამავლო მომსახურეობის ხარჯი				51667		42774
ელ.ენერგიის ხარჯი				87842		81560
გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯი				18335		15344
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი				193692		164251
სხვადასხვა საგადასახადო ხარჯი				31855		31955
სხვა ხარჯი				21187		32163
პროდუქციის თვითღირებულება				**3475868**		**3604168**
საოპერაციო მოგება				**341215**		**207169**
არასაოპერაციო შემოსავლები				23610		26801
არასაოპერაციო ხარჯები				-16907		-5641
არასაოპერაციო მოგება/ზარალი				**6703**		**21160**
მოგების გადასახადი				**52188**		**34029**
წმინდა მოგება				**289027**		**194300**

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში						
(თანხები მოცემულია ლარებში)						
	საწესდებო	**სხვა**	**აკუმულირებული**		**წმინდა**	**სულ**
	კაპიტალი	**რეზერვები**	**მოგება**		**მოგება**	**კაპიტალი**
ნაშთი 01.01.18წ.	820899	1804005	-192215		448900	2881589
12 თვის ბრუნვა					205125	205125
ნაშთი 01.01.19	820899	1804005	-192215		448900	2881589
12 თვის ბრუნვა					289027	289027
ნაშთი 31.12.19	820899	1804005	-192215		528757	2961446

ძირითადი საშუალებების მოძრაობა						
(თანხები მოცემულია ლარებში)						
ნაშთი 31.12.2018						
მიწის	შენობა	სატრანსპ.	საკერავი	ავეჯი და	სხვა	სულ
ნაკვეთი	ნაგებობანი	საშუალ.	მანქანები	ინვენტარი	ინვენტარი	
1804005	719682	16900	1614268	40717	61408	4256980
მატება	11479		4275	10413	11821	37988
ჩამოწერა			172405			172405
ნაშთი 31.12.2019						
1804005	731161	16900	1446138	51130	73229	4122563
ცვეთა						
ნაშთი 31.12.2018 წ.						
	273823	6645	846735	20292	26477	1173972
დარიცხული ცვეთა						
	6230	1126	26388	1943	3992	39679
ცვეთის ნაშთი 31.12.2019						
	280053	7771	873123	22235	30469	1213651

მარაგები						
				31.12.2019		**31.12.2018**
საოფისე ინვენტარი				45319		45319
საკოსტუმე ქსოვილი				6321		22077
კნოპი				1155		1257
ეტიკეტი				5306		836
საკერავი მანქანის ნემსები				16160		
ძაფი				1714		1529
კაბა ქალის				38035		16202
სამხრეები				715		1284
ელვაშესაკრავი				4357		4768
ღილი				3082		3718
ტეფლონის ლენტა				6717		
მოსასხამი				8233		1162
ფაქსი				270		270
სერტიფიკატი				421		421

ჟილეტი				2297		
ჟაკეტი ქალის				1825		
ელექტრო, საამშენებლო მასალა				58139		21434
მზა ნაწარმის მოდელები				6915		3026
პიჯაკი ქალის				11414		3905
ქვედა კაბა				6689		2627
პერანგი ქალის				4571		28315
შარვალი ქალის				6400		9033
თარგის ქაღალდი				15673		9527
პლოტერის ქაღალდი				2174		
პალტო და ნ/პალტო კაცის				29872		83916
სარეცხი საშუალება				240		588
კვების პროდუქტები				760		730
სხვადასხვა				20917		15897
ქურთუკი				2141		
ცელოფნის პარკები				540		1396
საგაზეთო ქაღალდი				2825		2690
		ჯამი		**311197**		**281927**
ფული და ფულადი ექვივალენტები						
				31.12.2019		**31.12.2018**
ფული სალაროში				20106		17086
ფული რეზიდენტ ბანკებში				4558		150785
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები				24664		167871
საოპერაციო შემოსავლები						
მზა პროდუქციის რეალიზაცია				3793473		3784536
საიჯარო მომსახურეობა				23610		26801
ჯამი				**3817083**		**3811337**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ასპექტები

ს/ს სამკერვალო კომპანია "იმერ"-მა რეგისტრაცია გაიარა 1996 წლის 25 აგვისტოს და დარეგისტრირდა საქართველოს საგადასახადი ინსპექციაში როგორც სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის მფლობელები არიან:

1. სიმონიძე მაია 14.85 %
2. ჩიხლაძე გიორგი 10.34 %
3. აბულაძე ნანა, ნიკიფი მამუკა, ნიკიფი ზვიად, (თანამესაკუთრეები) 10.34 %
4. გვენეტაძე ზაზა 10.50 %
5. ხაჩიძე ლიანა 10.3 %
6. კახიანი ინგა 5 %
7. კახიანი ხათუნა 5 %
8. ლომიძე უშანგი 10.31 %
9. ელბაქიძე ლელა 6.07 %
10. სანოძე ცისანა 5.02 %

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამკერვალო ნაწარმის კერვა. "იმერი" სპეციალიზირებულია ქალის, ბავშვის, მამაკაცის ტანსაცმლის წარმოებაზე, 1997 წ. წარმოება თანამშრომლობს გერმანულ ფირმა "ლებეკ"-თან.

ს/ს სამკ. კომპანია "იმერი"-ს მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანია თავის ჩანაწერებს აწარმოებს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ვალუტა "ლარი", რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

სააღრიცხო პოლიტიკა

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. საანგარიშო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება მსს ფასს-ების შესაბამისად. ამასთან ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

უცხოური ვალუტით წარმოშობილი ოპერაციები

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში. ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

რეალიზაციის ასახვა

რეალიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურეობებისათვის მიღებულ და მისაღებ თანხებს დამატებითი ღირებულების გადახადის გარეშე. შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებას მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როდესაც მოხდა მისი გამომუშავება, თანახმად რეალიზაციის პრიციპისა.

ფინანსური ოპერაციის შედეგები

ფინანსური ოპერაციები მოიცავს ბანკის კრედიტის მიხედვით გადახდილ პროცენტებს. უცხოურ ვალუტაში შეფასებული ფულადი მუხლების გადაფასება წარმოებს საბოლოო კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული ფინანსური შედეგები ანგარიშგებაში ასახულია მეტი თანხით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისთვის თანდართული გადახდისას

გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

ძირითადი საშუალებების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ბოლოს ცვეთის ხარჯი აღიარდება. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივის ცვეთის დარიცხვა ხდება მაშინ როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენელია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია მომსახურეობის ვადები.

დანახარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვასა და რემონტზე რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში. გაყიდული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო

და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას, რათა
განსაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექ-
ტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება
საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება
მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მატი ეკვივალენტი მოიცავს ნაღდ ეროვნულ
ვალუტას სალაროში და ფულად საშუალებებს საბანკო ანგარიშებზე
ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის
შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს
მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტი-
ვებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით
ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები
ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნე-
ვა, რომ შესაფერისია. აქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს
აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო
დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების
ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება,
თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების
პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს
როგორც მიმდინარე ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს
სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს.
ამასთან საგასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული
ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების
ინტერპრეტაციებისაგან, რის გამო კომპანია შეიძლება დამატებითი
გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანია
დარწმუნებულია რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ
ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო
მომსახურეობის ვადა

ძირითადი სასუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის
განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან

დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე აქტივი სასარგებლო
მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს
მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ
ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს სადაც იყენებენ ამ აქტივს.
ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს
ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეწვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმა-
რებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად
მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვა-
ტურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად
იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანე-
ბების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას,
მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს.

დირექტორი

/ჩიხლაძე გიორგი/